

დემოგრაფიული და ქცევითი განსხვავებები C ჰეპატიტით ინფიცირებულ და არაინფიცირებულ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში

ქეთევანი დადიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე (საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

სარჩევი

გამოყენებული შემოკლებები	2
აბსტრაქტი	3
შესავალი	6
ლიტერატურის მიმოხილვა	9
კვლევის დიზაინი	21
კვლევის მიზანი	21
კვლევის მეთოდი	22
კვლევის შეზღუდვა	23
კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები	23
კვლევის ეთიკის საკითხი	23
კვლევის ჰიპოთეზა	24
კვლევის ინსტრუმენტი	24
მონაცემთა ანალიზი	26
კვლევის შედეგები	26
კვლევაში მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლები	26
ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება	31
რისკის შეფასების ბატარეა	32
C ჰეპატიტის გადაცემის შესახებ ცოდნის და პრაქტიკის შეფასება	41
C ჰეპატიტის სარისკო ქცევასთან ასოციაცია	50
დასკვნა და რეკომენდაციები	53
ბიბლიოგრაფია	56

გამოყენებული შემოკლებები

შნპ	შპრიცების და ნემსების პროგრამა
ნიმ	ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი
აივ	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
თთპდი	თანასწორი-თანასწორს პრინციპზე დაფუძნებული ინტერვენცია
შიდსი	შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო)
SPSS	სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის
სგგი	სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
CI/UI	ნდობის ინტერვალი
OR	შანსების თანაფარდობა
SD	სტანდარტული გადახრა
UNODC	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისი
UNAIDS	გაეროს აივ-შიდსის გაერთიანებული პროგრამა
HCV	C ჰეპატიტის ვირუსი
NG	ზოგად პოპულაციაში/მოსახლეობაში C ჰეპატიტის ვირუსის (პრევალენტობის) შეფასება არ არსებობს (ვერ იქნა მოძიებული)
NK	C ჰეპატიტის ვირუსის პრევალენტობის შეფასება ვერ იქნა მოძიებული, მაგრამ ქვეყანაში ინექციურ მომხმარებლის მტკიცებულება არსებობს

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოსთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდი გამოწვევას წარმოადგენს სისხლის გზით გადამდები ინფექციები, მათ შორისაა C ჰეპატიტი. C ჰეპატიტის კუთხით საქართველო მაღალი პრევალენტობის ქვეყანას მიეკუთვნება (World Health Organization, 2019). ვინაიდან C ჰეპატიტით ინფიცირების ერთ-ერთ მიზეზად ნარკოტიკების ინექციური მოხმარება სახელდება, ნაშრომში სწორედ ნარკოტიკების ინექციურად მომხმარებლების მაგალითზე იქნება განხილული C ჰეპატიტით ინფიცირებულებსა და არაინფიცირებულებს შორის ქცევითი და დემოგრაფიული განსხვავებები. მოცემული სამაგისტრო ნაშრომისთვის კვლევის ორი ჰიპოთეზა ჩამოყალიბდა:

- C ჰეპატიტით ინფიცირებულ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში სარისკო ქცევის ინდექსი (RAB-index) უფრო მაღალია ვიდრე არაინფიცირებულ მომხმარებლებში.
- C ჰეპატიტით ინფიცირებულ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში ბოლო 6 თვეში შპრიცის და ნემსის გაზიარების პრაქტიკა უფრო მაღალია ვიდრე არაინფიცირებულ მომხმარებლებში.

ჰიპოთეზის მისაღებად ან უკუსაგდებად დამუშავებული იქნა ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა ქცევის შესახებ ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ზიანის შემცირების ქსელის სერვის ცენტრების მიერ შეგროვდა. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა განსხვავდება თუ არა სარისკო საინექციო და სქესობრივი ქცევები C ჰეპატიტით ინფიცირებულ და არა ინფიცირებულ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს, - რის საფუძველზეც ორივე ჰიპოთეზა მივიღეთ.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ძირითად პრობლემებად გამოიკვეთა, როგორც ინექციის მიღებისას სტერილიზაციის ზომების არ დაცვა, ასევე სექსუალური კავშირის დროს თავდაცვითი ზომების არ მიღება, რაც სისხლით გადამდებ

დაავადებებთან მიმართებაში რესპონდენტთა დაბალი ინფორმირებულობის
მაჩვენებელია.

Abstract

Blood-borne infections, including hepatitis C, remain one of the major challenges around the world. According to the World Health Organization data, Georgia is among the countries with high hepatitis C virus (HCV) prevalence. Injection drug use is considered one of the main routes of HCV transmission. This aim of this thesis is to review the behavioral and demographic differences among injection drug users with or without HCV infection. The two hypotheses tested in this Master's thesis are the following:

- Injection drug users infected with HCV have a higher risk behavior measured by the Risk Assessment Battery (RAB) compared with injection drug users without HCV; and
- Injection drug users infected with HCV have a higher frequency of sharing syringes and needles in the past 6 months compared with injection drug users without HCV.

To test these hypotheses, the data collected by the Georgian Harm Reduction Network's (GHRN) service centers about behavior of injection drug users has been studied. The differences in drug use and sexual risk behavior between injection drug users with and without HCV have been examined and both of the above hypotheses have been accepted.

This study identified the lack of sterilization measures when using injection drugs as well as the lack of protection during sexual contacts, highlighting low awareness about blood-borne infections among the study participants.